

სასწავლო-სახანძრო კოშკი

სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკური დახასიათება

დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
შენობის ფართობი	მ ²	36.0
განაშენიანების ფართობი	მ ²	152.0
სამშენებლო მოცულობა	მ ²	596.3

კედლები: ერთი კედელი -ანტისეპტირებული ფიცარი, დარჩენილი სამი კედელი -უწყვი მასალა.

სასწავლო კოშკის ვერტიკალური ფასადის მხარე იფარება გასალაშინებული დაფებით დაითვლება მუშა მხარედ, მასზე გათვალისწინებული უნდა იყოს:

-1.1 მ X 1.87მ ზომის ორი ან მეტი ფანჯრის ღიობი ყველა სართულზე, გარდა პირველისა;

-მანძილი ფანჯრიდან კედლის ნაპირამდე არანაკლებ 65სმ;

-მანძილი ფანჯრებს შორის არანაკლებ 60სმ;

-რაფის სიგანე 38-40სმ;

-რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 80სმ (+/- 5 სმ)

-მეორე სართულზე რაფის სიმაღლე მიწის დონიდან 4.25მ , II-III-IV სართულებს შორის -3.30მ;

-სასწავლო კოშკს მუშა მხარეს არ უნდა ჰქონდეს არანაირი ღიობი (გარდა ფანჯრისა) და გამოშვებული ნაწილი. მეორე სართულის ფანჯრის ქვეშ, საიერიშო კიბის მესამე საფეხურიდან 5სმ-ით ქვემოთკოშკის ფასადზე მაგრდება 6 X 6 სმ კვეთის ძელაკი. მეორე სართულის ფანჯრებს ქვემოთმიწამდე დასაშვებია გაიკრას ფურცლოვანი ლითონი, რეზინა, პლასტიკი ან ფანერა.

-კოშკის თითოეულ სართულზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1.5მ სიღრმის ბაქნები, ამასთან თითოეულ ბაქანს უნდა ჰქონდეს გასასვლელი კოშკის შიგნით მოწყობილ (რომელიმე არამუშა მხრიდან) და შემოღობილ სტაციონარულ კიბეზე.

-სასწავლო კოშკი უნდა იყოს მოწყობილი საიმედო დამცავი საშუალებებით. კოშკის მუშა მხრიდან გრუნტში უნდა იყოს მოწყობილი დამზღვევი ბალიში (არანაკლებ 1მ სისქის, ხოლო ფასადის მხრიდან 4მ სიგანის),რომელიც კოშკის გაბარიტებს სცდება არანაკლებ 1მ-ით. აღნიშნული სისქის დამცავი ბალიში მზადდება ქვიშისა და ნახერხის ნარევისაგან (1:1), რომელიც იყრება 50სმ სიმაღლეზე ზამზარისებრ მასალისაგან დამზადებულ 50სმ სისქის საფუძველზე. საფუძველსა და ნარევს შორის უნდა იყოს ჭილობის საფენი, ხოლო თანაორმოდან წყლის დასაწრეტად უნდა იყოს მოწყობილი დრენაჟი ან სხვა მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ჩადენას.

-სასწავლო კოშკის წინ უნდა მოეწყოს არანაკლებ 50 მ სიგრძისდა არანაკლებ 6მ სიგანის (თუ სასწავლო კოშკს აქვს ფანჯრების ორი რიგი) მოედანი.

-სასწავლო კოშკს უნდა ჰქონდეს დარაბები ჩამკეტი მოწყობილობებით, აგრეთვე ბალიშის თოვლისგან დამცავი ფარები.